ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №90

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

07.09.2021 წ.

10:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ლევან ჯაფარიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), გიორგი ტყემალაძე,ლევან ჯაფარიძე **(ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი)**, ერეკლე კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მოწვეული სტუმრები:

1. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ლევან ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1

დადგენილების მუხლი 30), გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის და 2021 წლის 12 აგვისტოს # 12-032122442-03 წერილი.)- ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 27 აგვისტოს #12-032123922-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 27 აგვისტოს #12-032123924-03 წერილი)- ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 2 სექტემბრის #12-03212453-03 წერილი)-ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის თაობაზე.

/**მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე**- გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის - (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 12 აგვისტოს # 12-032122442-03 წერილი.)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 11 აგვისტოს №21.1107.1265 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 11 წინადადება - №0121216714-67; №01212172422-67; №01211184401-67(№01212112849-67); №01212012311-67; №01211526-67; №01212031409-67; №01212042800-67; №01212172410-67; №01212112779-67; №0121218961-67 და 1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი)- **№0121216714-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჯავახიშვილის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

№01.14.09.006.072) მოთხოვნილია ძირითადი და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ცვლილების შემდგომ წარმოქმნილი ხარვეზის გასწორებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, №01.14.09.006.072 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება ძირითადი და გამწვანებული ტერიტორიები რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს №012122383 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჯავახიშვილის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.09.006.072) და მიმდებარედ ძირითადი და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი)- **№01212172422-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ბიჭვინთის III ჩიხში, №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.005.194) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობების მშენებლობის დასრულებისა და მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს დაუმთავრებელი მშენებლობის ხელშემწყობი ღონისძიებები, როგორიცაა ფუნქციური ზონის ცვლილება.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, 2021 წლის 27 აპრილის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №131 განკარგულებით დამტკიცდა დაუმთავრებელი მშენებლობების ხელშემწყობი ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს №01.11.04.005.194 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილებასა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნას.

ფრაგმენტული ხასიათის ცვლილების თავიდან აცილების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.11.04.005.194 საკადასტრო ერთეულის დასავლეთით დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება, ხოლო სამხრეთით დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 10 აგვისტოს №01212221940 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ბიჭვინთის III ჩიხში, №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.005.194) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01211184401-67(01212112849-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.02.002.045) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანია, სამი ამორტიზებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია მათში სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე სკოლის განთავსებისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს №01212232391 წერილით, თანახმაა, მხოლოდ შენობა-ნაგებობის კონტურებზე შეიცვალოს სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც-1) და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.02.002.045) ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) **№01212012311-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.250) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.10.06.006.250 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით გავრცელდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

ასევე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,

ფუნქციური ზონის ცვლილება ხორციელდება №01.10.06.006.250 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზეც, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით.

ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 3 აგვისტოს №18-01212152538 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ არეალზე (№01.10.06.006.250 და მიმდებარე ტერიტორია) მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.250) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) **№01211526-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.145; №01.14.08.001.178) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.14.08.001.145, №01.14.08.001.178 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე და ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 25 ივლისის №18-01211763076 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა ლ.ჯაფარიძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით,ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.145; №01.14.08.001.178) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით, მისი განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილი III მასივში, ზემო პლატოზე, №1 კორპუსის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.006.181-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

№01.19.20.006.181 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ხარვეზის სახით გავრცელებულია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), რომელსაც არსებული მდგომარეობით არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვისა და არსებული ხარვეზის გასწორების მიზნით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) **№01212031409-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.135.025) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 5 აგვისტოს №012121737 წერილის მიხედვით, აღნიშნულ მონაკვეთს ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილ მონაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების (სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების) წინააღმდეგი არ არის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, №01.20.01.135.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, ა.წერეთლის ქუჩის გასწვრივ, მთლიან ქუჩაზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება, კერძოდ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ხარვეზის სახით გადასული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება მომიჯნავედ არსებული საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), ხოლო ფაქტობრივად არსებულ გზაზე გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.135.025) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), ასევე, საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01212042800-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის

II მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.073) ნაწილზე მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ №01.10.06.002.057 საკადასტრო მიწის ნაკვეთის პრივატიზებას, რის გამოც მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ №01.10.06.002.057, №01.10.06.002.060 და დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე არსებული ფუნქციური ზონების - სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-6) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 5 აგვისტოს №01212171296 წერილის მიხედვით, აღნიშნულ მონაკვეთებზე (ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით) მოთხოვნის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებით მნიშვნელოვნად არ მცირდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრი და არ იცვლება არსებული კონფიგურაცია, ასევე, არ იზღუდება მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გზა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

გარდა ამისა, ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, მიმდებარე ტერიტორიაზეც იცვლება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის II მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.073) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) **№01212172410-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მიკრორაიონში, III კვარტალში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.42.610-ის მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია სატყეო ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მიკრორაიონში, III კვარტალში, №72.13.42.610 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის პრივატიზებას, სამომავლოდ, გასხვისების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 28 ივლისის №0121209490 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე

განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის (სატყეო ზონა) მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „კ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№01212112779-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №93-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.006.049) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №93-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზებას, რის გამოც მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 5 აგვისტოს №01212172953 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

- განმარტებითი ბარათის „ლ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) **№0121218961-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩისა და ნაფეტვრებისაკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.05.009.021) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.14.05.009.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ვინაიდან, ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით და გაცემულია მშენებლობის ნებართვები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვისა და ასევე, ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, №01.14.05.009.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩისა და ნაფეტვრებისაკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.05.009.021) ნაწილზე და მის მიმდებარედ საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განცახდებებთან - №0121216714-67; №01212172422-67; №01211184401-67(№01212112849-67); №01212012311-67; №01212031409-67; №01212042800-67; №01212172410-67; №01212112779-67;

№0121218961-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივასთან **(სულ 10 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა **ლევან ჯაფარიძემ** კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადადებულ იქნას №01211526-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.145; №01.14.08.001.178) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა, დამატებითი შესწავლის მიზნით.

2.რეკომენდაცია გაეწიოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 12 აგვისტოს # 12-032122442-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით წარმოდგენილ - №0121216714-67; №01212172422-67; №01211184401-67(№01212112849-67); №01212012311-67; №01212031409-67; №01212042800-67; №01212172410-67; №01212112779-67; №0121218961-67 განცხადებებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადადებულ იქნას №01211526-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.145; №01.14.08.001.178) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა, დამატებითი შესწავლის მიზნით.

2.რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 12 აგვისტოს **№12-032122442-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №0121216714-67; №01212172422-67; №01211184401-67(01212112849-67); №01212012311-67; №01212031409-67; №01212042800-67; №01212172410-67; №01212112779-67; №0121218961-67 და 1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 27 აგვისტოს #12-032123922-03 წერილი).

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ო.ჩიტიძემ

მომხსენებლის (ო.ჩიტიძემ) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა" (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში" (დანართი №1.11). კერძოდ, ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებით ,,A" არეალში.

ამავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ ,,A" არეალში სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ტერიტორიაზე არსებული სახასიათო ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნების პირობით.

გრაფიკული დანართით წარმოდგენილ კონტურში არსებული მიწის ნაკვეთების უმეტეს ნაწილს დადგენილი აქვს ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები, რაც გულისხმობს იმას, რომ უკვე მომხდარია მათი სამშენებლოდ განვითარების პირობების დადგენა. შესაბამისად, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება შესაძლებელი აღარ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოცემულ ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების დამოუკიდებლად განვითარება დასაშვებია და იგი მოიხსნება შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკიდან.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, 12-032123922-03 განცხადებით, წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა“ (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში'' (დანართი №1.11) შესატანი ცვლილებასთან **(სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, გ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 27 აგვისტოს **№12-032123922-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა“ (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში'' (დანართი №1.11) შესატანი ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 27 აგვისტოს **№12-032123922-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა“ (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში'' (დანართი №1.11) შესატანი ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 27 აგვისტოს #12-032123924-03 წერილი).

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა - ქ-ნმა ნ.ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ.ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 26 აგვისტოს N21.1158.1315 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 17 წინადადება - №01212221205-67(№01212241730-67); №01212281039-67; №01211763058-67; №01212112811-67(№01212112779-67); №01211792104-67; №01211933785-67; №01211813249-67; №01212003238-67; №0121218962-67(№01212292583-67); №01212162626-67; №01212301637-67(№0121203949-67); №01212301958-67(01212269-67); №01212301602-67; №01212211387-67; №01212193-67; №01212253248-67; №01212321739-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი)- **№01212221205-67(№01212241730-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ.10/005 მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.10.003.073) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს №01212232722 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 12 აგვისტოს №012122490 წერილის მიხედვით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა (№16-01211474057; 27.05.2021წ.) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა ლ.ჯაფარიძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით,**№01212221205-67(№01212241730-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ.10/005 მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.10.003.073) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით, მისი განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი)- **№01212281039-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, სვეტიცხოვლის III ჩიხში, №14-ის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.029.393) მიმდებარედ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 16 აგვისტოს №01212281758 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება იმ ნაწილზე, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა და ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.72.14.029.393 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, სვეტიცხოვლის III ჩიხში, №14-ის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.029.393) მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი)- **№01211763058-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.17.459) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ფრაგმენტული ხასიათის ცვლილების თავიდან აცილებისა და ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №72.13.17.459 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე არეალზე შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

№72.13.17.459 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს №01212232572 (№18-01212022746) წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ არეალზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული (შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები) ფენა და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა ლ.ჯაფარიძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით,**№01211763058-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.17.459) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნის საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით, მისი განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი)- **№01212112811-67(№01212112779-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №93-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.006.018-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №93-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (№01.18.09.006.018-ის მიმდებარედ) პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 5 აგვისტოს №01212172953 წერილის მიხედვით, თანახმაა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები; სატყეო ზონა; სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)) მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი)- **№01211792104-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ისნის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.115.004) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 16 აგვისტოს №01212281139 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს საპროექტო

ტერიტორიის მხოლოდ იმ მონაკვეთზე (საკადასტრო ერთეულის საზღვრებში), რომელიც ფაქტობრივად არ წარმოადგენს ტროტუარს.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ივლისის №60-01212071650 წერილის მიხედვით, აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი №24, 22.07.2021წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც, ქ. თბილისში, ისნის ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.01.115.004) ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ვინაიდან, №01.17.01.115.004 საკადასტრო ერთეულის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) უშუალოდ ვრცელდება ფაქტობრივად არსებულ ტროტუარზე, შესაბამისად, ნაწილობრივი ცვლილება განხორციელდება მხოლოდ საკადასტრო ერთეულის საზღვრებში და ღობის გათვალისწინებით.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი)- **№01211933785-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილში, IV მიკრორაიონში, 421-ე კორპუსის მიმდებარედ, ნაკვეთი: 02/067 და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.002.067; №01.19.39.002.348) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, განიხილება №01.19.39.002.348 და №01.19.39.002.067 საკადასტრო ერთეულებზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილების საკითხი, შემდგომში სკვერის მოწყობის მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს №01212232533 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი)- **№01211813249-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჩიქვანაიას V ჩიხი №2/5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.005.108) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკიდან შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

№01.11.04.005.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ისევე, როგორც მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორია განვითარებულია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფუნქციური ზონის ცვლილებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განიხილავს როგორც №01.11.04.005.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ასევე, მიმდებარედ არსებულ რეგისტრაციებზეც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 16 აგვისტოს №18-01212281890 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული (რზ-2) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჩიქვანაიას V ჩიხი №2/5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.005.108) და მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი)- **№01212003238-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე (ლისი), არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.423) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით ხორციელდება №01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 16 აგვისტოს №01212281878 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) ფენა.

მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილების შემდგომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში დარჩენილი ხარვეზის აღმოფხვრისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და ვარაზის ქუჩას შორის არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) იცვლება მომიჯნავედ არსებული საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5). ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე (ლისი), არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.423) და მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი)- **№0121218962-67(№01212292583-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, აბაშელის ქუჩა №21-ის მიმდებარედ და აბაშელის ქუჩა №18 და №23-23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.11.057.092; №01.14.11.053.110; №01.14.11.057.093) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონისა და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური. 2021 წლის 12 აგვისტოს №01212242669 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 18 აგვისტოს №0121230938 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთ საზღვართან გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარე მიწის ნაკვეთებისათვის. შესაბამისად, სამსახური აღნიშნულ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.053.088) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, აბაშელის ქუჩა №21-ის მიმდებარედ და აბაშელის ქუჩა №18 და N23-23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.11.057.092; №01.14.11.053.110; №01.14.11.057.093, №01.14.11.053.088) ნაწილზე სატყეო ზონისა და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „კ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი)- **№01212162626-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბუკისციხის ქუჩა №64-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.022.018) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2021 წლის 18 აგვისტოს №0121230951 წერილის მიხედვით,

მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს ფაქტობრივად არსებულ გზაზე, ხოლო, იმისათვის, რომ სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში დაბრკოლება არ შეიქმნას, მიზანშეწონილია, ფაქტობრივი გზის ცენტრიდან მის აღმოსავლეთ და დასავლეთ მიმართულებით თანაბრად დაკორექტირებული და გავრცელებული სატრანსპორტო ქვეზონის პარამეტრი სრულად შეადგენდეს 8.5 მეტრს.

სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.17.09.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება საცხოვრებელი ზონითა (სზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2), ასევე საცხოვრებელი ზონა (სზ) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ბუკისციხის ქუჩა №64-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.022.018) ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონით (სზ), სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-თ (ტზ-1) ცვლილება მისაღებია ისე, რომ ფაქტობრივი გზის ცენტრიდან მის აღმოსავლეთ და დასავლეთ მიმართულებით თანაბრად დაკორექტირებული და გავრცელებული სატრანსპორტო ქვეზონის პარამეტრი სრულად შეადგენდეს 8.5 მეტრს.

- განმარტებითი ბარათის „ლ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი)- **№01212301637-67(№0121203949-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ლილოს ბაზრობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.13.004.048) მოთხოვნილია სატყეო ზონისა და სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სასაწყობე მეურნეობის განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 16 აგვისტოს №01212281863 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს სატყეო ზონის სამრეწველო ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ვინაიდან, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მომიჯნავე ტერიტორიაზე ხარვეზის სახით ფრაგმენტულად რჩება სატყეო ზონა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით ხორციელდება სატყეო ზონის სამრეწველო ზონა 1-ითა (ს-1) და სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ლილოს ბაზრობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.13.004.048) და მის მიმდებარედ სატყეო ზონისა და სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სამრეწველო ზონა 1-ითა (ს-1) და

სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „მ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-12 პუნქტი)- **№01212301958-67(01212269-67) განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.039.460) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 17 აგვისტოს №012122994 წერილის მიხედვით, მიზანშეწონილად მიიჩნევს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით განხორციელდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კორექტირება და არსებულ ფაქტობრივ გზაზე გავრცელება. ამასთან, სატრანსპორტო და საქვეითო ინფრასტრუქტურის ჯეროვანი განვითარებისთვის მიზანშეწონილია, რომ დაკორექტირების შედეგად სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრი შეადგენდეს 8.5 მეტრს.

შესაბამისად, მიზანშეწონილია საპროექტო ტერიტორიაზე, ფუნქციური ზონის ნაწილობრივ ცვლილება ისე, რომ სატრანსპორტო ქვეზონის პარამეტრი შეადგენდეს 8.5 მეტრს ფაქტობრივი გზისა და საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: №01.19.13.004.048) საზღვრებში გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ჩათვლით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.039.460) ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ნ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-13 პუნქტი)- **№01212301602-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სოფელ ზურგოვანში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.005.073) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 19 აგვისტოს №012123154 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულის საზღვრებში სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, საპროექტო

ტერიტორიის ჩრდილოეთით ხორციელდება საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ ზურგოვანში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.005.073) ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ო" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-14 პუნქტი)- **№01212211387-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, „ბეთანია-2"-ის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.08.844) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №01212351386 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება ისე, რომ ფაქტობრივი გზისა და საპროექტო ტერიტორიის ჩათვლით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სიგანე შეადგენდეს 8.5 მეტრს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, „ბეთანია-2"-ის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.08.844) ნაწილზე და მის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია ისე, რომ ფაქტობრივი გზისა და საპროექტო ტერიტორიის ჩათვლით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სიგანე შეადგენდეს 8.5 მეტრს.

- განმარტებითი ბარათის „პ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-15 პუნქტი)- **№01212193-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.24.014.007) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფარმაცევტული სასაწყობო მეურნეობის განვითარება, რაც განაშენიანების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სპეციალური ზონა

1-ისთვის (სპეცზ-1). ამასთან, №01.19.24.014.007 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მის მიმდებარე არეალზე გავრცელებულია სპეციალური ზონა 1 (სპეც-1), შესაბამისად, მოთხოვნილ ფუნქციური ზონის ცვლილებას არ ექნება ქაოსური და ფრაგმენტული ხასიათი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 23 აგვისტოს №01212352550 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს №01.19.24.014.007 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.24.013.023) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იცვლება სპეციალურ ზონა 1-ით (სპეცზ-1), ასევე №01.19.24.014.007 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით, ფაქტობრივად არსებულ გზაზე იხსნება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.24.014.007) ნაწილზე და მიმდებარედ სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ჟ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-16 პუნქტი)- **№01212253248-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, კოჯორში, ბეთანიაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.25.068) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სატყეო ზონა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონა.

№81.01.25.068 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალი ჩამოყალიბებული და განვითარებულია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ფარგლებში, შესაბამისად, მოთხოვნილ ფუნქციური ზონის ცვლილებას არ ექნება ქაოსური და ფრაგმენტული ხასიათი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ტერიტორიის ერთიანი სახის განვითარების მიზნით, ხორციელდება №81.01.25.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ (საკადასტრო კოდები: №81.01.08.030 და №81.01.08.860 ნაწილზე) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1)

ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ასევე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება, საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 23 აგვისტოს №18-01212352626 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე სატყეო ზონა შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონისა და არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, კოჯორში, ბეთანიაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.25.068) ნაწილზე და მიმდებარედ სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „რ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-17 პუნქტი)- **№01212321739-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, რატევანის ქუჩა №28, №28ა და №28ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.09.005.071; №01.12.09.005.070; №01.12.09.005.069) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით განსაზღვრულია ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ტერიტორიის ერთიანი სახის განვითარების მიზნით, ხორციელდება №01.12.09.005.071, №01.12.09.005.070 და №01.12.09.005.069 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მიმდებარე არეალზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 25 აგვისტოს №18-01212371707 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ არეალზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, რატევანის ქუჩა №28, №28ა და №28ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.09.005.071; №01.12.09.005.070; №01.12.09.005.069) და მიმდებარე არეალზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1.**გადადებული იქნას :**

- **№01212221205-67(№01212241730-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ.10/005 მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.10.003.073) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა, დამატებითი შესწავლის მიზნით.

- **№01211763058-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.17.459) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა,დამატებითი შესწავლის მიზნით.

2.**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 27 აგვისტოს **№12-032123924-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 15 წინადადება - №01212281039-67; №01212112811-67(№01212112779-67); №01211792104-67; №01211933785-67; №01211813249-67; №01212003238-67; №0121218962-67(№01212292583-67); №01212162626-67; №01212301637-67(№0121203949-67); №01212301958-67(01212269-67); №01212301602-67; №01212211387-67; №01212193-67; №01212253248-67; №01212321739-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1.გადადებული იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე:

- **№01212221205-67(№01212241730-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის, მშენებარე კომპლექსის მიმდებარედ, ნაკვ.10/005 მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.10.003.073) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.
- **№01211763058-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.17.459) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

2.რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 27 აგვისტოს **№12-032123924-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 15 წინადადება - №01212281039-67; №01212112811-67(№01212112779-67); №01211792104-67; №01211933785-67; №01211813249-67; №01212003238-67; №0121218962-67(№01212292583-67); №01212162626-67; №01212301637-67(№0121203949-67); №01212301958-67(01212269-67); №01212301602-67; №01212211387-67; №01212193-67; №01212253248-67; №01212321739-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 2 სექტემბრის #12-03212453-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის მიერ (ნ. ბაგაშვილი) წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1-ლი სექტემბრის განკარგულებით N21.1192.1347, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01212361325-67; №012121247-67; №01212388411-67(№0121216134-67); №01212209-67(№01212422341-67); №01212322329-67).

დადგენილების პროექტის განხილვისას წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა:

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი)-**№01212361325-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში სოფელ დიღომში, დიდ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.042.322; №01.72.14.042.992; №01.72.14.042.153) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრასპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 25 აგვისტოს №01212372191 წერილის მიხედვით, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაკორექტირდეს და გავრცელდეს №01.72.14.042.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და საპროექტო მიწის ნაკვეთებს (საკადასტრო კოდი: №01.72.14.042.322, №01.72.14.042.992 და №01.72.14.042.153) შორის არსებულ დაურეგისტრირებელ სივრცესა და საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო საკადასტრო ერთეულების საზღვრებში ისე, რომ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დაკორექტირების შემდეგ მისი პარამეტრი შეადგენდეს არანაკლებ 8.5 მეტრს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.042.322; №01.72.14.042.992; №01.72.14.042.153) ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) -**№012121247-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, უჩანეიშვილის (ყოფილი იმედაძის) №31-ში და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.008.052; №01.14.08.008.058) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი

ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს №01212232769 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა.

№01.14.08.008.052 და №01.14.08.008.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, ისევე, როგორც მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა ლ.ჯაფარიძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით - **№012121247-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, უჩანეიშვილის (ყოფილი იმედაძის) №31-ში და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.008.052; №01.14.08.008.058) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით, მისი განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) **№01212388411-67(№0121216134-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ზიგზაგის I ქუჩა, №38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.09.019.009) მიმდებარედ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წითელი ხაზების კორექტირება წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრასპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 19 აგვისტოს №16-01212311647 წერილის მიხედვით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დადებითი რეკომენდაცია ხსენებული მიწის ნაკვეთის საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სამსახური ითვალისწინებს რა, სააგენტოს გადაწყვეტილებას (QN1725258) ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს განმცხადებლის მიერ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწვეტილებაზე თანდართულ დოკუმენტში ორთო-ფოტოზე წარმოდგენილი გასაახლებელი საზღვრების კონტურის შესაბამისად.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) **№01212209-67(№01212422341-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვისალაძის ქუჩის №2-ის მოპირდაპირედ და ჭანტურიას ქუჩა №12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.008.013; №01.15.04.008.047 და

№01.15.04.008.049) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს ელექტროქვესადგურის მშენებლობა წარმოადგენს.

ვინაიდან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.15.04.008.013; №01.15.04.008.047 და №01.15.04.008.049 საკადასტრო ერთეულები ექცევა ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილების თანახმად, №01212209-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი ქვესადგურის მშენებლობის მიზნით, განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2021 წლის 12 აგვისტოს №26 ოქმი), №01.15.04.008.013 და №01.15.04.008.047 საკადასტრო ერთეულებზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01212322329-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.123.357) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 1-ლი სექტემბრის №0121244150 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ვინაიდან მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ ფრაგმენტული სახით მიმდებარე ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიის ნაწილზე ხორციელდება სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.123.357) და მის მიმდებარედ სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებული იქნას - №012121247-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, უჩანეიშვილის (ყოფილი იმედაძის) №31-ში და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.008.052; №01.14.08.008.058) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხი, დამატებითი შესწავლის მიზნით.

2.რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 2 სექტემბრის **№12-032122453-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01212361325-67; №01212388411-67(№0121216134-67); №01212209-67(№01212422341-67); №01212322329-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. გადადებული იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე:

№012121247-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, უჩანეიშვილის (ყოფილი იმედაძის) №31-ში და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.008.052; №01.14.08.008.058) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

2. რეკომენდაცია გაეწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 2 სექტემბრის **№12-032122453-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01212361325-67; №01212388411-67(№0121216134-67); №01212209-67(№01212422341-67); №01212322329-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის თაობაზე.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლ.ჯაფარიძემ (გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).

ბ-ნმა ლ.ჯაფარიძემ გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურად ლევან ჯაფარიძე (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე) დაასახელა და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კომისიის წევრებმა წარმოდგენილ კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლ.ჯაფარიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევან ჯაფარიძე